



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030133431737320

№ 01-594/თ

07 / დეკემბერი / 2020 წ.

„საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის № 01-467/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

**მუხლი 1.** „საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის № 01-467/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 2<sup>1</sup> პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2<sup>2</sup> პუნქტი:

„2<sup>2</sup>. ამ ბრძანების N1 დანართით (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) სამართავად მობილიზებული კლინიკები) განსაზღვრულ იმ სამედიცინო დაწესებულებებზე, რომლებიც „ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის (EHR) ფუნქციონირებისა და წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 3 იანვრის N01-1/ნ ბრძანებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო მონაცემების შეტანას ახორციელებს უშუალოდ EHR.MOH.GOV.GE-ზე, ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემაში (EHR), შესაბამისი ბრძანებით გათვალისწინებული ვადის დარღვევით ინფორმაციის გადაცემის შემთხვევაში, არ გავრცელდეს საჯარიმო სანქციები.“.

**მუხლი 2.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე